გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6— |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8— | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



## სასწავლებელი და პანსიონი

## ჟორჟიკიასი

(ქუთაისში)

გიმნაზიის, პროგიმნაზიის, რეალურ და სხვა სასწავლებლების პირველ და მოსამზადებელ კლასში მომზადებისათვის აიღებს სამ-სამს მანეთს თთვიურად. პანსიონერებს შენახვისა და სწავლისათვის გადაახდევინებს წლიურად 180 მან. სასწავლებლის პანსიონში შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება გიმნაზიის და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. მეორე, მესამე და სხვა კლასებში მომზადებისათვის მეტსაც აიღებს. ვისაც პანსიონში შვილის მიბარება ან დატოვება უნდა, საჭიროა ოც აგვისტოდგან პირველ სექტემბრამდე შეგვატყობინოს (ტფილისის ქუჩა, საკუთარ სახლში).

(20—103—15)

ვისაც ჰსურს ქართულ თეატრში სამსახური ამ მომავალ $18^{92}/_{93}$ წ. სეზონში კეთილ ინებონ და მიჰმართონ ბ-ნ ვასილ სულხანიშვილს.

ტფილისი, რეუტოვის ქუჩა, № 10. ყოველ დღე, საღამოს 6—7 საათზედ.

(10—4)


ტფილისი, 4 სექტემბერი

კაი ხანია, პოლიტიკის შესახებ ლაპარაკი აღარა გვქონია მკითხველთან, თუმცა დასავლეთ ევროპის ცხოვრებაში ამ უკანასკნელს დროს ბევრი საყურადღებო ამბავი მოხდა. დღეს, შეძლებისა და გვარად, ვეცდებით ამ ნაკლის შევსებას. სასაუბრო-კი იმდენია, რომ არ ვიცით, საიდგან დავიწყოთ. ინგლისში „ლაბუშერის ინციდენტმა“ მთელი სახელმწიფო აალაპარაკა; ნაკლებ საყურადღებო არ არის, რუსის პოლკოვნიკის იონოვისაგან მიტყუება პამირზედ ავღანელებისა და ინდოეთის ჯარების გალაშქრება ავღანისტანში. ეს კიდევ არაფერი. რუსის ნავოსნებმა ბერინგის ზღვაზედ შეიპყრეს ამერიკისა და ინგლისის მეთევზეები, ნავები დაუყიდეს და თითონ დაატუსაღეს. სტამბულოვმა სულთანი ჰნახა, ძვირფასი საჩუქარი მიიღო და ახლა ლაპარაკობენ, რომ თვით ბოლგარიის მთავარს ფერდინანდ კობრუგელსაც მიიღებს დარბაზად სულთანიო. რასაკვირველია, ამ ნახვა-დარბაზობის დროს საუბარი ექნებოდათ ბოლგარიის დამოუკიდებლობის შესახებ და ეს ხომ რუსეთისათვის დიდად საწყენი ამბავია.

ჩეხებმა ავსტრიაში და პოლშელებმა გერმანიაში ომი გამოუცხადეს „გერმანულ ლუდს“, ნუღარ დალევთ ჩვენთა შემაწუხებელ გერმანელთა მიერ მომზადებულს სასმელსაო. გერმანიის გაზეთები თავს იკლამენ, ეს რა უბედურებაა, სასმელსაც-კი ომს უცხადებენო; ასე გასინჯეთ, პარიჟშიაც-კი ვრცელდება ჩვენი ლუდის ხმარება და ჩვენი ქვეშევრდომნი უარს ამბობენ ლუდის სმაზედ მარტო იმისთვის, რომ გერმანელების ქარხნებში მზადდებაო. ავსტრი-ვენგრია აპირებს სამუდამოდ შეიერთოს დროებით დაპყრობილი ორი სლავიანთა პროვინცია: ბოსნია და ჰერცოგოვინა, რომ შემდეგში დალმაციისა და ხორვატიის მიმატებით ღონიერი სამხრეთის სლავიანთა კუთხე შეჰქმნას. ამის გამო ვენგრიელები თავს იკლავენ, ავსტრია გაძლიერდება და შესაძლებელიც იქნება, რომ დუალიზმი დაირღვესო.

ერთის სიტყვით, საყურადღებო ამბავი იმდენია, რომ მარტო იმათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. შემდეგში თითოეულს მათგანს დაწვრილებით განვიხილავთ, ეხლა-კი დავუბრუნდეთ საფრანგეთს.

23 აგვისტოდგან (4 სექტემბერი) საფრანგეთის რესპუბლიკა ოც-და-მესამე წელში გადადგა და ამ მცირე ხანში ისე მკვიდრად დაფუძნდა, რომ მისი არსებობის ეჭვი აღარავისა აქვს. მისი ეხლანდელი პრეზიდენტი, სადი-კარნო, ამ ჟამად სამხრეთ საფრანგეთში მოგზაურობს და ყველგან ერი აღტაცებით ეგებება თავისს წინამძღოლს. ამ მოგზაურობას იმითი აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ აღმოსავლეთ-სამხრეთ საფრანგეთში სავოიელები სახლობენ, მაგრამ ისეთს ერთგულებას უცხადებენ საფრანგეთს, რომ მომეტებულს უმწვერვალესი ფრანგებიც ვეღარ მოითხოვენ. მოისმინა რა ქება-დიდება, კარნომ სთქვა: ეგ ქება მე არ მეკუთვნის, მაგ ქების ღირსი ჩვენი დაწესებულებანია მე პირად ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავს, რომ მათ წარმომადგენელად ვითვლებიო.

მართლაც, არამც თუ ევროპამ აღიარა და შეიწყნარა საფრანგეთის სარესპუბლიკო დაწესებულებანი და პატივისცემით ეპყრობა, არამედ შინაურმა მტრებმაც შეიწყნარეს და იმის წინაშე ქედი მოიხარეს. კათოლიკებმა, პაპი ლეო XIII ბრძანების გამო, აღიარეს რესპუბლიკა და წინააღმდეგობას აღარ უწევენ. ამას წინად ერთმა დაუცხრომელმა კათოლიკემ, მარკიზ ბრეტაილმა, საქვეყნოდ გამოაცხადა, მე აღარ შემიძლიან ბრძოლა რესპუბლიკასთან და ვწყნარდებიო. ბრეტაილის მიერ გამოცხადებულმა უარმა ბრძოლის შესახებ დიდი ზედ გავლენა იქონია საფრანგეთზედ.

ე-ლე-ბენში, სავოიის პატარა საგარაკო სოფელში კარნოს სხვათა შორის მოსწავლე ყმაწვილები მიეგებნენ, ერთს მათგანს რუსული ტანისამოსი ეცვა, ხელში თაიგული ეჭირა და შემდეგის ლექსით მიჰმართა პრეზიდენტს: „მე მამამ მითხრა, რომ რუსეთი საფრანგეთის მეგობარია, ამისათვის დიდად მიხარიან, რომ რუსულად მაცვია და შემიძლიან მოგართვათ ეს თაიგული იმ ღრმა პატივისცემის ნიშნად, რომლითაც სავსეა ჩვენი ნორჩი გული“. მაყურებლებმა აღტაცებით შესძახეს: გაუმარჯოს რუსეთს, საფრანგეთს და კარნოსაო. პრეზიდენტმა ბავშვი გადაჰკოცნა და სთქვა: „ვეამბორები რუსეთსო“.

პატრიოტული დემონსტრაციები მარტო ამით არ გათავებულა. შამბერში მერმა შემდეგის სიტყვებით მიჰმართა პრეზიდენტს:

„ყველაზედ ძვირფასად ის მიგვაჩნია, რომ ნება-ყოფლობით შევვერთდით და არა ძალ-დატანებით. შეერთება სავოისა საფრანგეთთან დამონება-კი არ იყო, არამედ განთავისუფლება. რაკი ასეთია საქმის ვითარება, რაკი ძმურად გვიყვარს ერთმანეთი, შეერთება ჩვენი იქნება საუკუნო, მაშინ როდესაც ძალდატანებით შეკოწიწება დროებითია ხოლმე და მალე დაირღვევა, რაკი დაჰკრავს ჟამი განკითხვისა და მართლ-მსაჯულებისა.

შამბერის მერმაც, როგორც ამას წინად ფლოკემ, გერმანიას გადაჰკრა მათრახი. ელზას-ლორენის გახსენებისათანავე მსმენელთ, თითქოს ელექტრონის ნაკადულმა დაურბინა ტანშიო, აღტაცებით შესძახეს: „გაუმარჯოს საფრანგეთსაო!“

## ფელეტონი

### ხოლერა და სოფელი

ჭირი ხომ ყველასთვის ჭირია, მაგრამ ჯან-საღს კაცს ისე როგორ დარევს ხელს, როგორც სუსტის აგებულებისას. ყოველი სენი ფეხს იქიკიდებს და იქა ძლიერდება, სადაც თავის შესაფერს ნიადაგს ჰპოულობს და, პირიქით, ულონოვდება და ბოლო ელება, სადაც გარემოება ხელს არ უწყობს.

მებრძოლთან გამკლევება და შებმა ძნელია, თუ შენთვის დაფარულია ის საშუალებანი, რომელთაც იგი ბრძოლის იარაღად ჰხმარობს. ასეთს უთანასწორო მოპირდაპირეს წარმოადგენს დღეს ხოლერა და ჩვენი ქართული სოფელი, თუ, რასაკვირველია, მხედველობაში უკანასკნელის მკვიდრთა უმრავლესობას ვიქონიებთ. ხოლერა ძლიერი მეომარია, სოფელი-კი სუსტი მოპირდაპირე; ჩვენი სოფელი მუდამ გულ-გაშლით უხვდება კაცობრიობის ყოველს დამამხობელს სენს და ხოლერას ხომ ნამეტანის „სტუმართ-მოყვარობის თვალით უცქერის.

ადამიანს თავის ცხოვრებაში შეხვდება ხოლმე იმისთანა შემთხვევანი, როცა იგი მეტის სინამდვილით, მეტის სიცხადით იჩენს თავის ან კეთილს, ან ბოროტს მხარეს. გაჭირვება სწორედ ამ შემთხვევათაგანია: აქ ბოროტებაც და სიკეთეც ერთგვარის სიმძლავრით გამოდის მოედანზედ და ორივე საკმაო სარბიელს ჰპოულობს საასპარეზოდ.

უმეცრების მხარე რა არის, თუ არ ბოროტება? და აი დღეს, ამ გაჭირვების დროს, ხოლერობას მეტად თვალ-საჩინოდ ჰბატონობს უმეცრება და მეტად დიდს ხარკს თხოულობს თავის მორჩილთა და ყმათაგან.

მეტად საგრძნობლად ჰყავს დამონავებული, შებოჭილი, ქსელში გაბმული ქართველი გლეხი უმეცრებას! უეჭველია, მხოლოდ ბუნებრივი ნიჭი—ეს უმშვენიერესი ღვთიური ძალა თუ ჰფარავს ქართველს გლეხს სრულიად დამხობისა და მიწასთან გასწორებისაგან.

მაგრამ ვის რა უფლება აქვს ქართველ გლეხს უკიჟინოს—უმეცარი რათა ხარ, რატო არა ხარ აღჭურვილი, ცოდნითა და სწავლით რატო არა ჰსარგებლობ მეცნიერთა გამოკვლევით, მათის სიტყვითა და დარიგებითო? ვისაც რაიმე საქმეს ჩახბარებენ, ანგარიშსაც იმას მოსთხოვენ. ვისაც რა თავის დღეში არ გაუგია, არ უნახავს,—იმას იმ საგანის ამბავიც არ უნდა ეკითხოს; სიყრმითგანვე ბრმას არავინ ჰკითხავს, რითი გაირჩევა წითელი ფერი მწვანისაგანაო; უსწავლელ გლეხსაც ვერ ვუსაყვედურებთ, რატომ არ უარ-ჰყოფ ცრუმორწმუნებას და პატივს არა სცემ სამკურნალო მეცნიერებასაო. იმისთვის ეს მეცნიერება ისეთივე მიუწდომელი და საოცარი საგანია, როგორადაც ასტრონომია. ის აზრი, რომ ხოლერა წარმოსდგება უჩინარ არსებათაგან, რომელთაც მეცნიერებმა ხოლერის ბაცილა უწოდეს, ისეთივე საოცარი და დაუჯერებელი საქმეა უსწავლელ გლეხისათვის, როგორც ისა, რომ ბურთსავით მრგვალი დედამიწა დაუღალავად დაცურავს სივრცეში მზის გარშემოვო.

გლეხ-კაცს გაჭირვებაში ადვილად სჯერა, რასაც თავისივე მსგავსი გლეხი—მისი მეზობელი, კეთილის მყოფი, ნათესავი წასჩურჩულებს. თავის მეზობელი კიდევ ეუბნება წითელაყვავილის დროს: „კაცო, „ბატონები“ არ გააჯავრო, სახლში ნემსი არ იხმარო, ქათამი არ დაჰკლა, ხელში ჩონგური აიღე და ავადმყოფს იავნანა უთხარი; წამალი თუ მიაკარე რამე, ბატონებს ეწყინებათ და ავადმყოფი მძიმედ შეიქმნებაო“. ეს დარიგება გლეხს ჭკუაში მოსდის, მოსწონს, დაუყოვნებლივ ასრულებს, რადგან ასეთის დარიგების აზრი იმის გონებისათვის ადვილი მისახდომია, მას სიყრმიდგანვე ესმის ამ გვარი სიტყვები მამისაგანაც, დედისაგანაც, მოხუცებულისაგანაც, ახალგაზდისაგანაც. ნურავის ჰგონია, ვითომც უსწავლელი გლეხი თავის მეზობლის რჩევას დაუსაბუთებლად იღებდეს: აზრის საბუთს უსწავლელიც თხოულობს; მხოლოდ საბუთი ზოგჯერ ისეთივე მტკნარია, როგორიც თვით აზრი, რომლის დასამტკიცებლადაც მოჰყავთ ეს საბუთი. მაგრამ როგორიც უნდა იყოს ეს საბუთი, ყოველთვის პატივ-სადებელია, ყურადღების ღირსია, რადგან ხშირად გლეხი თავის აზრს ასაბუთებს არა წარამარად, მოუფიქრებლად, „სულელურად“, „ბრიყულად“, არამედ დიდის გულდადებით, მოფიქრებითა და მოსაზრებით. საბუთისათვისაც გლეხი შორს არ მიდის: თავის საკუთარი ცხოვრება, საკუთარი ჭირი და ლხინი მას ბევრს რასმე ასწავლის და ამიტომაც მაგალითსაც, საბუთსაც იგი ყოველთვის თავის ცხოვრებაში ეძებს.

ამ ხოლერობის გამო, როგორც ყველამ იცის, ყველა სოფელში გამოეცხადათ წინადვე ეხმარათ ღონისძიებანი სენის ასაშორებლად. სოფელ-სოფელ დადიოდნენ და კიდეც დადიან მაზრის უფროსები, ბოქაულები და მათი თანაშემწენი. მამასახლისებს ავალებენ, სხვათა შორის, რაწამს საეჭვოდ ავად გახდეს ვინმე, მაშინვე კაცი აფრინეთ, შეგვატყობინეთ და ჩვენ მოგეშველებით ექიმით, წამლებით,—ავადმყოფსაც ვუშველით, კარგა-მყოფსაც გადავარჩენთო. რასაკვირველია, ყველა გონიერს კაცს მთავრობის ასეთი მშობლიური მზრუნველობა მოეწონებოდა, ესიამოვნებოდა; მაგრამ რა თვალით შეხედა საბრალო უვიცმა გლეხმა მთავრობის ამ ზრუნველობას?“ ასეთი მზრუნველობა უსწავლელმა გლეხებმა იუცხოვეს, არად მიიჩნიეს, იეჭვეს. „როგო, მთავრობაჲ ეხლა ჩვენი დარდი აქ?“ გაოცებით და დიდის ეჭვის კილოთი კითხულობდნენ ქიზიყელი გლეხები.

— მთავრობა მუდამ ჰზრუნავს და სცდილობს ხალხს გაჭირება თავიდამ ააცილოს, ვუპასუხე მე.

— არა, შენი ჭირიმე, ეგ რა საფიქრებელია, მთავრობაჲ ჩვენთვის სად ეცლება? საწყალ კაცს რო მზრუნველი ჰყავდეჲ, ხო აღარც საწყალი იქნებოდა, თითქმის ერთხმად გამომეპასუხა მთელი ერთი დასი გლეხებისა.

გერმანელებსა და ავსტრიელებს არ ეჭაშნიკათ ეს სიტყვები და იტალიას დაუწყეს გაბრთხილება, საფრანგეთი სანდო არ არის, შენს საზღვარზედ ციხეებს აგებსო, იტალია-კი სიამოვნებით დახვდა ადმირალ რიენზის, რომელმაც მეფე ჰუმბერტოს საკუთრად პრეზიდენტი კარნოს მიერ დაწერილი წერილი მოუტანა.

ა. ფრონელი

## ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

სამხედრო საავადმყოფოში 3 სექტემბერს მიიყვანეს ხოლერით ავადმყოფი ალექსანდრე თავშავაძე (მე-7 ნაწილიდგან), რომელიც იმავე დღეს გარდაიცვალა.

ახალციხეში 1 სექტემბერს ავად გახდა 1, მორჩა 1, გარდ. 2, დარჩა 13. ტამანის რაზმში ავად არავინ გამხდარა, 27 ავადმყოფია. 2 სექტემბერს ახალციხეში ავად გახდა 4, გარდ. 4, მორჩა 1, დარჩა 12. ტამანის რაზმში მორჩა 14, დარჩა 13.

გორის საავადმყოფოში 1 სექტემბერს ყუზანოვის საწყობებიდგან მიიყვანეს ერთი ავადმყოფი, რომელიც იმავე დღეს გარდაიცვალა; ბორჯომში ავად გახდა 1. 28-დგან 31 აგვისტომდე ქვემო არწევში ავად გახდა 1. დიდ-მეჯვრისხევში გარდ. 1, ავად არავინ არის. ქალაში ავად გახდა 1; პატარა-მეჯვრისხევში გარდ. 1, ავად არავინ არის; ბებნისში ავად გახდა 1.

22-დგან 1 სექტემბრამდე ცხინვალში ავად გახდა 2, მორჩა 1, გარდ. 1, დარჩა 2; დგვრისში ავად გახდა 1, მორჩა 2, ავად არავინ არის; დიცში ავად გახდა 2, გარდ. 1, მორჩა 2, ავად არავინ არის; მერეთში ავად გახდა 2, გარდ. 1, დარჩა 1; ტყვიავში ავად გახდა 5, მორჩა 2, გარდ. 4, დარჩა 1; კარბში ავად გახდა 8, მორჩა 2, გარდ. 5, დარჩა 1; ჯავაში ავად გახდა 7, მორჩა 3, გარდ. 3, დარჩა 1; ბუზალაში ავად გახდა 3, მორჩა 2, დარჩა 1; ბროწლეთში ავად გახდა 3, მორჩა 2, გარდ. 1, ავად არავინ არის.

ახალციხის მაზრის სოფლებში 2 სექტემბერს ავად გახდა 10, გარდ. 8, მორჩა 10, დარჩა 36. ქ. ახალქალაქში 13 ავადმყოფი იყო, ავად გახდა 4, გარდ. 5, დარჩა 12.

## ახალი ამბავი

*** სოფლად ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ თავ. ივანე სულხანის ძის ჭავჭავაძისაგან მივიღეთ ათი თუმანი. ამ ფულისა აქამდე გვქონდა 836 მან. 15 კაპ., ამითი შესდგა 936 მან. 15 კაპ.

*** 31 აგვისტოს ბაქოს მიდამოებში ავად არავინ გამხდარა; მაზრებში ავათ არის 3.

განჯის გუბერნიაში 31 აგვისცოს და 1 სექტემბერს ავად გახდა 87, მორჩა 17, გარდ. 60, ავად არის 65.

ერევანში 30 აგვისტოს ავად იყო 13, მორჩა 2, ავად არის 11, მთელს გუბერნიაში ავად გახდა 27, გარდ. 9, მორჩა 20, ავად არის 190.

ქ. შურაში 31 აგვისტოს ავადმყოფობას არც უმატნია და არც უკლია; ავად არის 2, მთელს ოლქში ავად გახდა 53, გარდ. 24, მორჩა 50, ავად არის 479.

ყარსში ავად გახდა 7, მორჩა 8, გარდ. 3, ავად არის 46; მთელს ოლქში ავად გახდა 14, გარდ. 14.

სტავროპოლში ავად გახდა 8, გარდ. 4; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 226, გარდ. 92, მორჩა 165.

ზაქათალის ოლქში ორი დღის განმავლობაში ავად გახდა 6, მორჩა 11, გარდ. 5, ავად არის 14.

1 სექტემბერს ქ. ბაქოში და მიდამოებში ავად არავინ არის; შემახიისა და გეოქჩაის მაზრებში ავად არის 3.

ერევანში 31 აგვისტოს ავად გახდა 3, გარდ. 2, ავად არის 12; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 29, გირდ. 15, მორჩა 20, ავად არის 184; შურაში 1 სენტემბერს ავადმყოფებს არც უმატნია და არც უკლია; ავად არის 2, მთელს ოლქში ავად გახდა 64, გარდ. 34, მორჩა 55, ავად არის 454.

ყარსში ავად გახდა 7, მორჩა 6, გარდ. 2, ავად არის 45; მთელს ოლქში ავად გახდა 17, გარდ. 15, მორჩა 10, ავად არის 46.

*** ქართული დრამატიული დასი ამ სეზონისა, როგორც შევიტყეთ, უკვე სრულებით მზად არის. მომეტებული ნაწილი მოთამაშეთა ხელწერილით შეეკვრნენ კიდეც თეატრის გამგებლებს. იმ არტისტების გარდა, რომელთაც იცნობს თეატრის მოყვარე საზოგადოება, მოწვეულ არიან ახალგაზდა არტისტი ქალები და კაცები, მათ შორის ზოგს საკმაო ნიჭიც ეტყობათ სათეატრო და ხალისიც. რეპეტიციების გამართვას დასი შეუდგება ამ თთვის 10, ხოლო თვით წარმოდგენა იქმნება 20 სექტემბერს, კვირას. თეატრის ადმინისტრაციას განუზრახავს პირველად წარმოადგინოს პიესა ახალგაზდა მწერალის ბ-ნ ა. ბენაშვილისა, სახელად „თელაველი ოტელო“, რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში. იმედი უნდა ვიქონიოთ, როგორც თეატრის გამგებელთაგან, აგრეთვე ქართულ საზოგადოებისაგან, რომ ერთმანეთს მხარს მისცემენ ამ ყოვლად სასარგებლო საქვეყნო საქმის გასაძლოლად და წარსამატებლად.

*** გუშინ მობრძანდა კოჯრიდგან მთავარ-მმართებელის თანაშემწე გრაფი ტატიშჩევი.

*** როგორც ვიცით, ამ საზამთრო სეზონისათვის საზაფხულო თეატრის კარები გამოხურული იქნება და საარტისტო საზოგადოება საწლეულოდ არავითარს დასს არ მოიწვევს, რადგანაც ამ წლის სუბსიდიის ფული უკვე დახარჯული აქვს. დარჩა ერთად-ერთი თეატრი სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკისა, რომელშიაც ჯერ დაბეჯითებით არავინ იცის, ქართულს დასს გარდა, კიდევ სხვა რა დასი იქნება მოწვეული. გაზეთებში ხმა გაისმა, რომ ბ-ნს ფორკატის ჰსურს საოპერეტო და საბალეტო დასი მოიწვიოსო და არ ვიცით, მართალია, თუ არა ეს ხმა. ამ ჟამად ბ-ნი ფორკატი უკვე ჩამოვიდა ქალაქში და ჰსურს ეს თეატრი იჯარით აიღოს. თეატრისავე იჯარით აღებას მოწადინებულნი არიან ქართულის თეატრის არტისტი-ქალი მ. მ. საფაროვისა და რუსული სცენის არტისტი ლ. ა. ბიაზი.

*** როგორც შევიტყეთ, ქუთაისში ამ სეზონისათვის ბ-ნს კლიუჩაროვს განუზრახავს საოპერეტო არტისტთა ამხანაგობის შედგენა და კ. მესხის თეატრში წარმოდგენების მართვა.

*** სამშაბათს, 1 სექტემბერს, კავკასიის სამკურნალო საზოგადოების კრებაზედ მკურნალმა რეხტზამერმა წაიკითხა მოხსენება ხოლერის შესახებ ტფილისში ამა 1892 წელსა. ამ მოხსენებიდგანა სჩანს, რომ ხოლერის გაჩენიდგან ტფილისში ხოლერით ავად გახდა 438, გარდაიცვალა 182, ამათში მიხეილის სამკურნალოში მიუყვანიათ 182, გარდაცვლილა 120.

*** გუშინ-წინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ ცოფიანმა ძაღლმა რამდენიმე კაცი დაგლიჯაო. აი დაშავებულთა სახელი და გვარი: დეკალოვი, ხუციშვილი, მელიქოვი, მეშკოვცევი, რეზნიკოვი, სარაძე, გრიქუროვი, ანასტასიევი და ხლამოვი. ყველანი საბაქტერეოლოგიო სადგურზედ გაჰგზავნეს და პასტერისებურის წესითა სწამლობენ.

*** ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოება, როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, მარტო მოსწავლე ყმაწვილებს აძლევდა საშეღავათო ბილეთებს, ახლა-კი ამ საზოგადოების დირექტორმა ბ-ნმა გრანვურმა განკარგულება მოახდინა, რომ საშეღავათო ბილეთები ყველა მცირე წლოვან ყმაწვილებს მიეცეთო.

*** ქარელი. (გორის მაზრა): სოფ. ძვილეთში აგვისტოს თხუთმეტს ერთი უბედურება დატრიალდა; ოსებსა და რამდენიმე კაცს ტატიშვილებს ჩხუში მოუვიდათ მამულის თაობაზედ. ჩხუბში ოსებმა დასძლიეს, ტატიშვილები გაიქცნენ, ხოლო ოსებს ხელში შერჩენიათ თურმე ერთი ახალგაზდა ტატიშვილთაგანი. ოსებს ულმერთოდ უცემნიათ და ერთ ხევში გადაუგდიათ. პატრონმა, ბევრის ძებნის შემდეგ, მეორე დღეს იპოვია საბრალო ახალგაზდა, მთლად დამტვრეული. მეტი ცემისაგან ცალი გვერდით დაცემულიყო და ყბა და კისრის ძარღვი ამოცვივნული ჰქონდა. იმის იღბალზედ, ძვილეთში ერთი სტუდენტთაგანი იყო ხოლერის საბრძოლველად მოსული, ამ სტუდენტმა ყბა თავის ალაგას დაუყენა და გამოუცხადა: „ძარღვის ჩაგდება თავის ალაგას უმაშინოთ არ შეიძლება, გორში ჩამომგვარეთ და იქ მოვარჩენო“. ამ თთვის ორს საბრალო ტატიშვილი წაიყვანეს ქარელის სადგურიდგან რკინის გზით ქალაქ გორში.

*** იქიდამვე: ერთს ხანს ორის კვირის განმავლობაში ხოლერის ხსენება მისწყდა; გვეგონა, ეს ეს არის საუკუნოდ გავისტუმრეთ დაუპატიჟებელი სტუმარიო. დააჭირა სიცხეებმა და ხოლერამ ხელახლად იჩინა თავი. მაგალითად: გომის სადგურზედ შუადამისას 28 აგვისტოს ხოლერით ავად გახდა რკინის გზის მუშა, სოფ. მოხისში მცხოვრებელი. ავადმყოფი გომის რკინის გზის ფარდულში დააწვინეს. სოფ. ყინცვისშიაც ერთი ოსი გახდა ხოლერით ავად.

---

— რათა, რათა გგონიათ, რომ მთავრობა თქვენთვის არა ჰზრუნავს და თქვენი ავი არად მიაჩნია? ისევ გამოვეკითხე მე.

— აბა როგორ, შენი ჭირიმე, მომიბრუნდა ერთი გლეხი, გუშინ, რაკი მარხვა დგებოდა (მარიამობისა), ქათამი დავკალი და ჩემმა დედაკაცმა იმიჲთვიჲ ცეცხლზედ ქვაბით წყალი შამოდგა, იპრიანა და „ბორჩიკი“ და გზირი წამამადგნენ თავს: ფოჲტიჲ ფული მთხოვეჲ; ფული რო ვერ მივე, გამოიღეჲ ზედადგრადამ ქვაბი, წყალი დაღვარეჲ და ქვაბი წაიღეჲ გირაო; მერმე ოთხი-ხუთი ქვაბიდამ ის ერთი-ღა მქონდა სახლში: დანაჩენი წინადა. ჰქონდათ გირაოდ გატანილი. ქვაბი ხო დავკარგე და აღების-ღამის დღეც ჩამაშხამეჲ. აბა შენი ჭირიმე, ემასა ჰქვიან ზრუნვა? იჲ ფული მთავრობაში არ მიდიჲ? სად არი სიბრალული? რა დასაჯერებელია: პირიდამ ლუკმაჲ მართმევდე და დოხტურ-კი მიგზივნიდე, ხოლერამ არა გაზნიოს-რაო?...

— ეგ რა კიდევ, დაიწყო მეორე გლეხმა: მარტო ხელი კაცი ვარ, წვრილ-შვილიჲ პატრონი. ორიოდე დღიჲ ყანა მქონდა, რი ვაი-ვაგლახით მოვმკე, მოვზიდე ძნა კალოზედ, ვიქირავე ცხენი. ის იყო, ჩავშალე ძნა კალოში და ლეწვა დავიწყე, ვეშურებოდი, რა-კი ფქვილი გოდორში არა მეგულებოდა-რა და ბალღები შიმშილისაგან მიტიროდნენ. გაწყრა ღმერთი, პირველ დღესვე მამვარდა გზირი: ლეწვაჲ თავი დაანებე, „ნაჩალიკიდამ“ ბძანება მოვიდა, ბეგარაზედ იძახიან, შირაქიჲ მინდვრებ ცეცხლი მოჲდებია (მკათათვეში მოხდა) და ორი კვირიჲ საგძლით უნდა წავიდეთო. რა ქარა მქონდა: გამოვუშვი ცხენი, შევაბულ̈ულე გაულეწავი ძნა კალოში, ავიკიდე ნასესხის მჭადებით სავსე გუდა, გავიდე მხარზედ ბარი და გაუდექ გზაჲ; დავყარე ცოლ-შვილი ორი კვირით ღვთის ანაბარად. დედაკაცმა ტირილი დაიწყო: რა ვქნა ა ბალღებ რა უყო, გაულეწავ ყანაჲ ხო ვერ ვაჭმეო; მაგრამ გზირებმა პასუხის მიცემაც აღარ დამაცალეჲ, იგრე გამიგდეს წინ. მთავრობაჲ რო არ უნდოდეჲ, ამ დღეში ჩვენ არ ვიქნებით?

ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ არ შემომჩივლეს გლეხებმა იმ დღეს და ყველა მათ სიტყვას მხოლოდ ერთი და იგივე აზრი ჰქონდა: მთავრობას ჩვენთვის არა სცალიან და, მაშასადამე, არც ხოლერობისას აიტკიებს იგი თავს ჩვენთვისაო.

ამ აზრის დასამტკიცებლად, როგორც ზემოდაც ვსთქვით, გლეხს თავისებური საბუთი მოჰყავს. ამ საბუთს ილებს თავის საკუთარისავე ცხოვრებიდგან. ან-კი სად შეუძლიან უსწავლელ გლეხს თავის აზრის დასამტკიცებლად ეძიოს საბუთი, თუ არა საკუთარს ცხოვრებაში? საკუთარი ცხოვრება კიდევ ბევრს უნუგეშო მაგალითს უჩვენებს, ბევრს გაჭირვებას აყენებს; იგი მეტად ხშირად ჰხედავს ძალოვანის ბატონობას, ღარიბის დამონებას, დაჩაგვრას. ამიტომაც მეტად ეუცხოვება, როდესაც ეუბნებიან: ნუ გეშინიან, შენი მოსარჩლე კანონია, მთავრობაა, იგი შენთვისა ჰზრუნავს, შენს გაჭირვებაზედ ჰფიქრობს და აი ამის დასამტკიცებლად ამ ხოლერობაშიაც შველის, ხელს გაწვდის, ექიმს გიგზავნის, ფერშალს, წამლებსაო.

არა, რაც უნდა ბევრი ელაპარაკოთ, რაც უნდა ბევრი მჭერ-მეტყველობა დახარჯოთ, მაინც უვიც გლეხს ძნელად დაარწმუნებთ და დააჯერებთ, რომ შესაძლებელია ერთსა და იმავე დროს ფოსტის ფულისათვისაც, ბეგრისთვისაც ვინმე ასეთს გაჭირვებას აყენებდეს და იგივე თან მშობლიურად ჰზრუნავდეს მისის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისათვის.

უვიცი გლეხი არც გასამტყუნარია ამ ჯიუტობისთვის, დაუჯერებლობისთვის; მას ეს ურწმუნობა, ჯიუტობა მოსდის არა იმიტომ, რომ იგი „ბრიყვია“, „სულელია“, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ იგი უვიცია, უსწავლელია. როგორც განათლებულის კაცის ყოველს მოქმედებას ატყვია სწავლის, ცოდნის ბეჭედი, აგრეთვე უსწავლელის გლეხის მოქმედებას—უცოდინარობისა. ამიტომ გლეხი ამ მხრივ კიცხვისა და ძაგების ღირსი-კი არ არის, არამედ სიბრალულისა და შენანებისა.

აი სწორედ ეს უსწავლელობა, უცოდინარობა და არა „სიბრიყვე“, „უტვინობაა“, მიზეზი, რომ ჩვენი გლეხი ასე გულ-გრილად ეპყრობა მთავრობის განკარგულებას და დარიგებას ხოლერის წინააღმდეგობისას და ამ გვარად ნებით ეძლევა პირში ასეთს საშინელსა და მძვინვარე ადამიანის მყლაპავს მტერს.

გლეხის უსწავლელობამ ამ გაჭირვების დროს მეტად ბევრ გვარად იჩინა თავი. ამის მაგალითები ძლიერ ბევრია და ზოგი უკვე იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში. მე ამ ჟამად დავასახელებ მხოლოდ რამდენსამე შესაწუხარს ამბავს, რომლის მოწამე თვით ამ სიტყვების დამწერი იყო და რომელიც-კი მოხდა ქიზიყის ზოგიერთა სოფლების გლეხთა შორის.

პირველად უნდა ითქვას ხოლერის გამო გამოცემულ წიგნაკისა, იმის გავრცელებისა და მოხმარების შესახებ. ეს წიგნაკები მოუვიდა მაზრის უფროსს, რომელმაც გადასცა თვითოეულს მამასახლისს იმ აზრით, რომ ხალხში წაეკითხნათ და იმის შემწეობით ყველასათვის ჩაეგონებინათ თუ, რა არის ხოლერა და რა საშუალებანია მის წინააღმდეგ საბრძოლელად საჭირო. ცხადია, რომ ამ გვარი წიგნაკი დიდს სარგებლობას მოუტანს იმას, ვისაც თავის დღეში არა შეუტყვიარა ხოლერისა და ჯანმთრელობისათვის სიფრთხილე-კი უყვარს. მაგრამ ასში ორმა-სამმა თუ შეასრულა თავისი დანიშნულება და თუ რომელსამე სოფელში შეასრულა, მხოლოდ იქ, სადაც მამასახლისად მოსმენილი, მცირედად მაინც ნასწავლი კაცი იყო. უმრავლესობამ-კი, თუმცა მაზრის უფროსისაგან ჰქონდათ ნაბძანები, არამც თუ სოფელს არა არგეს-რა ამ წიგნაკებით, არამედ ერთხელაც არ გადუშლიათ,—ეს კიდევ არაფერი: ისე მიაგდეს, გადაკარგეს, რომ მეორე დღესვე თითონაც აღარ იცოდნენ, რა უყვეს, სად დასტოვეს, ვის გადასცეს.

ქიზიყშივე, სიღნაღის მაზრაში, ორს მომიჯნე სოფელში თითქმის ერთსა და იმავე დროს იჩინა თავი ხოლერამ. მაზრის უფროსმა სასტიკად უბრძანა ამ სოფლების მამასახლისებს იმ დღიდგანვე გზებზედ დარაჯები

*** დ. ჩოხატაური (გურია): ჩვენ, ჩოხატაურელებს, აგვისტოს 29-ს საღამოს 8 საათზედ, ფირალები გვესტუმრა მიქელაიშვილის ოთოსნობით ექვს კაცამდე. ერთი ღამის მოდარაჯე დაეჭირათ და ებრძანათ: „ბერაძის დუქანში მიგვიყვანე“-ო. ეს უარის უთქმელად გაჰყოლოდა. შიშის გამო საწყალს გზა შეშლოდა და ნაცვლად ბერაძის დუქნისა—მ. ცინცაძის დუქანში მიეყვანა ავაზაკები, რომლებმაც დუქანი გაძარცვეს. ფულად 800-ს მანეთამდე წაეღოთ, აგრეთვე ვექსილები და სხვა ძვირფასი ნივთები, 1,000 მან. ღირებული. ერთმა ღამის მედარაჯეთაგანმა ვ. ცინცაძემ ფირალების ერთი მხლებელთაგანი მოჰკლა. მკვდარი არ იციან, თუ ვინ არის.

*** სოფ. სარო (ახალქალაქის მაზრა): ხოლერის მოლოდინის შიშმა შეაჩოჩქოლა სოფლელები. ყველგან მოელიან ამ დაუპატიჟებელს სტუმარს და ამიტომ დიდს სამზადისში არიან: ასუფთავებენ კარ-მიდამოს, სახლებს, ბოსლებს, და აგროვებენ ფულს წამლების შესაძენად. მაგრამ, სამწუხაროდ, სოფელი სარო კი გულ-გრილად შესცქერის ამ ამბავს, თითქოს აქ არაფერიაო! აქ ბევრგან შეხვდება კაცი ყოველ გვარ უსუფთაობის გროვას, რომელიც პატარ-პატარა გორაკებად ამაღლებულა თითქმის ყოველ მოსახლის კარ-წინ. თუმცა სანიტრების რიცხვი ორიდგან ექვსამდე აიყვანეს, ისიც ბოქაულის ბრძანებით ჯეროვანს ღონისძიებას არა ჰხმარობენ სოფლის გასაწმენდად.

გუშინ, 27 აგვისტოს, აქაურმა მღვდელმა მამა სოლომონ უსტიაშვილმა წირვის შემდეგ ეკკლესიიდგან გამოასვენა სახარება, ხატები და დროშები და აკკლესიის წინ გადიხადა სავედრებელი პარაკლისი, რომელსაც დაესწრო მთელის სოფლის კაცი და ქალი. პარაკლისის შემდეგ მოძღვარმა თავის მრევლით შემოუარა გარშემო სოფელს ვედრებითა და აიაზმის სხურებით.

*** გაზ. „Т. Л.“-ი სწერს: ხუთშაბათს, 3 სექტემბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში ანდერძი აუგეს კნიაჟნა ნინო ალექსანდრეს ასულს გურამიშვილისას, რომელიც 1 სექტემბერს გარდაიცვალა კოჯორში, გენეს სასტუმროში, იმის გამო, რომ წყალში გახსნილი კარბოლის სიმჟავე დალია. გარდაცვალების დღეს კნ. გურამიშვილისა ბ-ნ ნ. ი. ნიკოლაძეს ოჯახობასთან ერთად უძოში ყოფილიყო სალოცავად და იქიდგან საღამოზედ დაბრუნებულიყო. თუმცა ბევრ გვარი საშუალება იხმარეს მოწვეულმა ექიმებმა ყმაწვილის ქალის გადასარჩენად, მაგრამ ვერა მოახერხეს-რა... განსვენებულის გვამი სოფ. ქვემო-ავჭალას წაიღეს დასასაფლავებლად.

*** გაზეთი „Каспій“ სწერს: 8 ივლისიდგან 1 სექტემბრამდის ბაქოს საქალაქო გამგეობამ ხოლერასთან საბრძოლელად დაჰხარჯა 90,000 მ. იგივე გაზეთი ამბობს, რომ ეს ფული ცოტა არ არის, და საყურადღებოა ვიცოდეთ, სად ან როგორ დაიხარჯა ეს ფულიო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„მწყემსის“ მე-15—16 №-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი რედაქციის მიმართ:

მამაო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ ამ ჩვენს წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთ „მწყემსში“.

ამას წინად ქ. პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა მივმართეთ ამ წელში გაზეთ „ივერიის“ საშუალებით იმ პირთ, რომელთაც ვალად ჰქონდათ წაღებული ფულები თავის ამხანაგებისაგან და ვსთხოვეთ შესძლებისადაგვარად ვესხის დაბრუნება. მაგრამ, როდესაც არავითარი პასუხი არავინ არ მოგვცა, არ დავჯერდით გაზეთში გამოცხადებას და დავავალეთ ორს ჩვენს ამხანაგთაგანს, რომ მათ კერძოთ მიემართათ წერილით ჩვენი მოვალეებისათვის. მოგვყავს უმეტნაკლებოთ შინაარსი იმ წერილისა, რომელიც გაეგზავნათ ჩვენგან არჩეული პირებისაგან ყოველ მოვალეს. აი სხვათა შორის ერთი პირისადმი მიწერილი წერილი:

მოწყალეო ხელმწიფევ! „თქვენზედ ირიცხება პეტერბურგის ქართველი სტუდენტების ხუთი თუმანი. უმორჩილესად გთხოვთ მოგვაწვდინოთ ნაწილ-ნაწილად მაინც, თუ ერთად გამოგზავნა ვერ შეიძლოთ. შვიდ ყმაწვილს არავითარი ცხოვრების სახსარი არ მოეძევებათ“.

ამ ნაირი წერილი გაეგზავნა ზ. რაზიკაშვილს და მისი პასუხი იმდენად შეურაცხმყოფელია ჩვენთვის, რომ არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოთ ეს პასუხი აქვე სიტყვა-სიტყვით და არ მივაქციოთ ამ პასუხზედ ქართველი საზოგადოების ყურადღება.

„ბატონებო! ძრიად ვწუხვარ, რომ თქვენს თხოვნას ვერ ვასრულებ უქონლობისა გამო, რასაკვირველია, და თუნდაც მქონდეს, მაინც არაფერს არ გამოგიგზავნიდით. რისთვისაო? იკითხავთ. იმისთვის, რომ ეგ ფული ვალად არ ამიღია სტუდენტების წრისაგან; თუ ვალის თხოვნაა და ვალად ჩასაგდებია ხუთი თუმანი, ამ ვალს ესლანდელები-კი არ უნდა თხოულობდეთ, ისევ იმათ უნდა ითხოვონ, ვინც ეს ფულები გაიღო და არა თქვენ, რომელთაც არავითარი ნაწილი არა გაქვსთ ამ 50 მანეთში. ეს ერთი. მეორე: ვსთქვათ, ვიშოვე ხუთი თუმანი და გამოვგზავნე, რომელი ერთი მშიერი უნდა გაგაძღოსთ იმ ხუთმა თუმანმა?! შვიდს კაცსა გვშიანო, შემომტირით,—არავითარი საშუალება ცხოვრებისა არა გვაქვსო. მერე რას აკეთებთ მანდ ეგ შვიდი კაცი, მშიერებმა რა უნდა ისწავლოთ? სიმშილწუწურკილით მიღებულის სწავლისა მე არაფერი მწამს, რადგან ასეთი სწავლა დიპლომით შეიარაღებული მხოლოდ კუჭის გაძღომაზედ ჰფიქრობს და უთქვენოდაც მრავალნი გვყავსან კუჭის მსახურნი, მუცლის მაღმერთებელნი. ცხრა მთას იქით სიმშილით არ იხოცებოდეთ და ჩემისთანა ღარიბს მომეტებულად არ აღარიბებდეთ, ჩამოხვიდეთ თავის სამშობლოში და აქ დაიხოცნეთ, თუ სხვა ხელობას ვერას მიიღებენ ეგ მშიერნი, ხელები ხომ ასხიათ ტანზედ, იმუშაონ და იცხოვრონ. თუ ვაჟა-ფშაველა არა თაკილობს, ხმარობს თოხსა და ნიჩაფსა, გუთანს იჭერს, მაგათ რატომ აღარ უნდა იკადრონ?! თქვენი კეთილის მოსურნე ვაჟა-ფშაველა“.

თვითონ ამ პასუხის შინაარსი ბევრ რამეს უსატავს გამჭრიახს მკითხველს და ამიტომ ჩვენ მეტი განმარტება საჭიროდ აღარ მივიჩნიეთ, მხოლოდ გთხოვთ „ივერიის“ რედაქციასაც ამ წერილის გადაბეჭდვასა.

პეტერბურგის ქართველი სტუდენტები.

მოგვყავს რა ეს მიწერ-მოწერა გაზ. „მწყემსიდგან“, ამ ხელად ჩვენ არას ვიტყვით თვით წერილის შინაარსის შესახებ, მხოლოდ ერთი რამ-კი უნდა შევნიშნოთ: ტფილისში ხმა დადის, რომ ვითომ ეს წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებს ჯერ ჩვენს რედაქციაში გამოეგზავნოთ, ჩვენ არ დაგვებეჭდოს და იძულებულ გამხდარიყვნენ „მწყემსისთვის“ მიემართათ, ჩვენ ამ წერილს პირველადა ვხედავთ და არც მოგვსვლია დასაბეჭდად, ასე რომ ამ მხრივ არავითარი საყვედური არ გვეთქმის.

## რუსეთი

პეტერბურგში 27—28 აგვისტოს ავად გახდა 100, გარდ. 25, მორჩა 67; ქ. კრონშტადში 26 აგვისტოს ავად გახდა 2, გარდ. 5, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში 27 აგვისტოს ავად გახდა 26, გარდ. 3, მორჩა 4.

მოსკოვში 26 აგვისტოს ავად გახდა 32, გარდ. 17, მორჩა 19, მთელს გუბერნიაში ავად გახდა 2, გარდ. 3, მორჩა 4.

ასტრახანში 26 აგვისტოს ავად გახდა 4, გარდ. 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 15, გარდ. 7; მორჩა 11.

ვლადიმერის გუბერნიაში 26 აგვისტოს ავად გახდა 3. გარდ. 1.

ვორონეჟში 26 აგვისტოს ავად გახდა 1, გარდ. 1, მორჩა 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 244. გარდ. 84, მორჩა 64.

ვიატკაში 26 აგვისტოს ავად გახდა 1, გარდ. 1, მორჩა 1.

ეკატერინოსლავში 26—27 აგვისტოს ავად გახდა 26, გარდ. 8, მორჩა 8; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 164, გარდ 74, მორჩა 105.

ყაზანში 26 აგვისტოს ავად გახდა 7, გარდ. 2, მორჩა 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 149, გარდ. 74.

კიევში 26 აგვისტოს ავად გახდა 49, გარდ. 11, მორჩა 13; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 1, გარდ 2.

კოსტრომას გუბერნიაში 25 აგვისტოს ავად გახდა 3, გარდ. 2, მორჩა 7.

კურსკში 26 აგვისტოს ავად გახდა 26, გარდ. 10, მორჩა 6; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 133, გარდ. 50, მორჩა 64.

ლიუბლინში 26 აგვისტოს ავად გახდა 58, გარდ. 11, მორჩა 15; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 21, გარდ. 9, მორჩა 18.

ნიჟნი-ნოვგოროდში 27 აგვისტოს ავად გახდა 15, გარდ. 9, მორჩა 10, მთელს გუბერნიაში ავად გახდა 32, გარდ. 21, მორჩა 33.

ორენბურგში 26 აგვისტოს ავად გახდა 3, გარდ. 1, მორჩა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 318, გარდ. 185, მორჩა 64.

ორლოვის გუბერნიაში 24 აგვისტოს ავად გახდა 39, გარდ. 12.

---

დაეყენებინათ და აღარავინ გადაეშვათ ერთის სოფლიდგან მეორეში, რომ მით ხოლერა უფრო არ გაემძვინვარებინათ. აასრულეს მამასახლისებმა ეს ბრძანება თუ არა? დიახ, ჩამოვიდა ბოქაული და თავის თვალითვე დარწმუნდა, რომ ყველა შესავალ-გასავალში მწყობრად იდგნენ დარაჯები დიდის კომბლებით. მაგრამ რა საჭირო იყო მათი დგომა. დარაჯები მგზავრს სოფლის საზღვრიდგან აბრუნებდნენ და მიჰყავდათ მამასახლისთან. ეს უკანასკნელი „ბილეთის“ ფასს ართმევდა ერთს, ორს ან სამს შაურს და თითონვე ასწავლიდა, წადი, ამა-და-ამ ადგილას რომ ვიწრო გასავალია, დარაჯი არა დგა და იქ შეგიძლიან თავისუფლად გაიაროო. რასაკვირველია, ზოგი მგზავრი რომ დარაჯებს მამასახლისთან მიჰყავდათ, ზოგსაც თითონვე აძლევდნენ „ბილეთს“.

ამ გვარად, მამასახლისები მხოლოდ გარეგნობით ასრულებდნენ უფროსის ასეთს საუცხოო განკარგულებას და ნამდვილად-კი შაურის და ორი შაურის გულისთვის ასეთს განსაცდელში აგდებდნენ როგორც მთელს სოფელს, აგრეთვე საკუთარს თავსა და ცოლშვილს. რასაკვირველია, ამ მამასახლისებს რომ ჰქონოდათ ცოტა ოდენი შეგნება, თუ რა საშინელი შედეგი მოელოდა მათ შაურიან და ორ შაურიან სინიდისს, ხომ არც ამას ჩაიდენდნენ; სხვა არა იყოს-რა თავისის თავისა და თავისის ცოლ-შვილის გულისათვის მაინც გაფრთხილდებოდნენ.

ერთს ქართველს მედუქნეს ათის წლის ვაჟი-შვილი გაუხდა ავად ხოლერით. მაზრის უფროსის დავალებით, ერთმა მოხელემ, რომელსაც სოფლების სანიტარების ზედამხედველობა ჰქონდა ჩაბარებული, სწრაფად აცნობა უფროსს. უკანასკნელმა დაუყოვნებლივ გაგზავნა ამ ავადმყოფს ბავშვთან მაზრის ექიმი წამლებითურთ, მაგრამ, სანამ ექიმი მივიდოდა, ავადმყოფი კიდეც გარდაიცვალა. ამ დროს მამა შინ არ იმყოფებოდა. სხვა რო აღარა დარჩა-რა, ექიმმა სახლსა და შინაურებს ასხურა წამალი. სადეზინფექციო წამალი ასხურა აგრეთვე თვით მიცვალებულს, რომელიც თითონვე ჩაასვენებინა კუბოში. მაგრამ, აკი ამ დროს დაბრუნდა სახლში მიცვალებულის მამა; გაიგო თუ არა, მიცვალებულს წამალი ასხურესო, ბევრი აღარ აცალა, დაავლო გატენილს თოფს ხელი და გამოედევნა ჯერ ექიმის მომყვანს მოხელეს, შემდეგ თვით ექიმს: როგორ თუ მიცვალებულის დაწვა გსურთო; ბევრი უქადაგეს, ბევრი ელაპარაკეს, რომ წამლის სხურებით მიცვალებულის დაწვა არ შეიძლება და არც თუ საჭიროება მოითხოვსო, მაგრამ ვერ დააჯერეს და ვერც დაამშვიდეს; და თუ უბედურება რამ ვერ მოახდინა, ეს მხოლოდ იქ დამსწრე ჩაფრებისა და მეზობლების წყალობით, რომელთაც გამხეცებული მედუქნე კარებ-ჩაკეტილს სახლში დაამწყვდიეს, სანამ მსხვერპლად აღმორჩეულნი სრულიად განშორდებოდნენ.

გუბერნატორის განკარგულებით ერთის აქაურის სოფლის მცხოვრები სამის თვით საპატიმროში ჩასვეს იმ მიზეზით, რომ იგი გამოდიოდა სასოფლოზედ და საქვეყნოდ გაიძახოდა: „ხალხნო, ექიმი ნუ გინდათ, ავადმყოფს წამალს ასმევს და მოსარჩენსაცა ჰკლავს; ვინც ხოლერით ავად გაგიხდეთ ვინმე, დამალეთ, ჩინონიკებს ნუ შეატყობინებთ, თორემ ექიმს მაიყვანენ, წამლით მოჰკლავენ და შემდეგ მიცვალებულსაც დასწვავენო“.

ეს ცრურწმენა საცოდავ გლეხებს იქამდისა აქვთ გამჯდარი, რომ სიმართლე მაშინაც-კი არ სჯერათ, როდესაც საკუთარის თვალითა ჰხედავენ, რომ ექიმის წამლის დალევით ავადმყოფი არ კვდება და ყველა მიცვალებულიც თვით ნათესავთ მიაქვთ სასაფლაოზედ და ასაფლავებენ. თუ ამ უკანასკნელს გარემოებას ანიშნებთ გლეხს, მაინც გულ-დაჯერებით გიპასუხებთ: „მართლა, მიცვალებულს ცეცხლი არ მოუდეს; მაგრამ ი წამალი რო დაასხა დოხტურმა კუბოში, საფლავში თან ჩაჰყვება და იქ მიცვალებულის გვამი ორ დღეში ნავლად გადაიქცევაო.“

ერთს მეზობელს მოხუცებულს დედაკაცს, ჩემსას მოსულს, კარბოლის სიმჟავე ვასხურე, რასაკვირველია, წინადვე დავამშვიდე, რომ ეს წამალი ჩემი შინაურებისთვის მაქვს შეძენილი და სიკეთის მეტი არა შეუძლიან-რა. მართალია გარეგნობით დამთანხმდა, მაგრამ მისი სახის გამომეტყველება ნათლად ჰლაღადებდა: «თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე, შენი არა მინდა-რა, დაწვისა მეშინიანო.» მაინც, როდესაც სახლში წასვლა დააპირა, მომიბრუნდა და მითხრა: „შენ გენაცვალე, ჩვენებს არ უთხრა, რომ მასხურე, თორემ შიშით დაგიჟდებიან: ეგონებათ ცოცხალი აღარ გადავურჩები ამ წამალსაო.“

ვინ მოსთვლის ამისთანა მაგალითებს? ყველა ჩვენის სოფლის ხალხის ასეთი ცრუ-რწმენანი და შეცდომანი როგორც იმედი მაქვს, მკითხველიც მიმოწმებს, უმეცრების ნიადაგზედა ჰხარობს. გლეხს არა აქვს სწავლა, ცოდნა და კიდეც ეს უცოდინარობა, უსწავლელობა არის მისი თავიდათავი სენი და მტერი მთელს სიცოცხლეში; მხოლოდ ამისთვის ეტანება იმას არამც თუ მარტო ხოლერა, არამედ ყოველი ჭირი და უბედურება, რომელიც-კი ცოდნითა და სწავლით აღჭურვილს კაცს მაგდენს ვერაფერს აკლებს.

ვერც ქადილი, ვერც მათრახი და ვერც საბყრობილე ვერ აღმოფხვრის გლეხის თავიდგან იმ მრავალს რწმენას და შეცდომას, რომელიც-კი მისთვის უმეცრებას ჩაუნერგავს. ამიტომ ჩვენის გლეხის უმთავრესი ჭირი უმეცრებაა, რომლის განდევნისათვის უნდა იყოს მიმართული ყოველი ძალა და ღონე, ვისიც ჯერ არს. გაუიაფეთ გლეხს სწავლა, დააყენეთ ცოდნის შეძენის გზაზედ და მაშინ არამცთუ ხოლერას მოიგერებს თავის თავად, არამედ ყოველს ბედსა და უბედობაში თავისს თავს თვითონვე გაუძღვება. უამისოდ-კი ნათლად ვხედავთ, რომ არამც თუ თავის თავს თითონ ვერა ჰპატრონობ, არამედ სხვისი დახმარება და შველაც ჯეროვანად ვერ გამოუყენებია.

ალ. მირიანაშვილი

პენზაში 26 აგვისტოს ავად გახდა 35, გარდ. 9, მორჩა 9; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 161, გარდ. 48, მორჩა 92.

პერმში 26 აგვისტოს გარდ. 2, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 140, გარდ 60.

პოლტავის გუბერნიაში 25 აგვისტოს ავად გახდა 11, გარდ. 3.

რიაზანში 26 აგვისტოს ავად გახდა 2, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 27, გარდ. 22, მორჩა 14.

სამარაში 26 აგვისტოს ავად გახდა 8, გარდ, 4, მორჩა 5; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 360, გარდ. 165, მორჩა 241.

სარატოვში 26 აგვისტოს ავად გახდა 8, გარდ. 5; ქ. ცარიცინში 21 აგვისტოს ავად გახდა 1, გარდ. 1; მთელს გუბერნიაში 26 აგვისტოს გარდ. 349.

სიმბირსკში 26 აგვისტოს გარდ. 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 114, გარდ. 43.

ყუბანის გუბერნიაში 26 აგვისტოს ავად გახდა 228, გარდ. 113.

თერგის ოლქში 26 აგვისტოს ავად გახდა 107, გარდ. 48.

ტობოლსკში 26 აგვისტოს ავად გახდა 1, მორჩა 1.

კერჩში და სხვა-და-სხვა სოფლებში 26 აგვისტოს ავად გახდა 27, გარდ. 6, მორჩა 6.

ტვერის გუბერნიაში 21 აგვისტოს ავად გახდა 1. ქ. უფაში 26 აგვისტოს ავად გახდა 3, გარდ. 4, მორჩა 9: მთელს გუბერნიაში ავად გახდა 197, გარდ. 77.

ხარკოვში 26 აგვისტოს ავად გახდა 1, გარდ. 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 69, გარდ. 24.

ჩერნიგოვის გუბერნიაში 25 აგვისტოს ავად გახდა 14, გარდ. 4, მორჩა 12.

იაროსლავში 26 აგვისტოს ავად გახდა 24, გარდ. 3, მორჩა 12; ქ. რიბინსკში ავად გახდა 5, გარდ. 7, მორჩა 8; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 6, გარდ. 2.

ნოვოჩერკასკში 24—25 აგვისტოს ავად გახდა 19, გარდ. 5. მორსა 4; ქ. როსტოვსა და ნახიჩევანს (დონისა) ავად გახდა 12, გარდ. 3, მორჩა 15, ქ. ტაგანროგში ავად გახდა 1, გარდ. 2, მორჩა 9; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 585, გარდ. 222, მორჩა 374.

ტომსკში 26 აგვისტოს ავად გახდა 5, გარდ. 7.

ომსკში 26 აგვისტოს ავად გახდა 20, გარდ. 11; სემიპალატინსკის ოლქში ავად გახდა 19, გარდ. 6.

ურალსკში 26 აგვისტოს ავად გახდა 32, გარდ. 7; მთელს ოლქში ავად გახდა 51, გარდ. 19.

თურქესტანის ოლქში 24 გვისტოს გარდ. 48.

## გასართობი

ვინ რას ფიქრობს ხოლერის შესახებ

— უნდა მოგახსენოთ, რომ ხოლერა ისე საშინელი არ არის, როგორც ამბობენ; პირიქით ხოლერა ხალხს სიფაქიზეს აჩვევს. მე ჩემის მხრივ ვფიქრობ, რომ ხოლერა სასარგებლოც-კი უნდა იყოს...

აფთიაქის პატრონი.

— ხოლერა თავის თავად საშიშო არ არის, ხოლერის დროს რომ საიდგანაც სანიტარები არ გაჩნდნენ ხოლმე...

სახლის პატრონი.

— ხოლერა!.. „ალმიტაცებს ხოლმე ეს ხმა და მიღვიძებს იმედს გულში“...

სამკვიდრს მომლოდინე.

— წრევანდელმა ხოლერამ დაგვიმტკიცა, რომ რუსეთსა და საფრანგეთს შუა ძლიერ მკვიდრი კავშირია. რუსეთსა და საფრანგეთში ხოლერა ერთსა და იმავე დროს გაჩნდა...

პოლიტიკოსი.

— ვა, არ იცი, რომ ხოლერიანობაა, გზები შეკრულია და შაქარი აღარ მოდის? მადლობელი არა ხარ, რომ გირვანქა შაქარს 25 კაპეიკზედ მეტად არა ვყიდი?..

ვაჭარი.

— ამ ჟამად, როცა ჩვენც გვეწვია დაუპატიჟებელი სტუმარი—ხოლერა...

კორესპონდენტი.

ღმერთს გეფიცებით, ამ ხოლერის ამბებმა სწორედ რომ თავი მომაბეზრა,..

გაზეთის მკითხველი.

ამბობენ, ბევრს ნუ დალევ, ხოლერა შეგეყრებაო, სულ უსმელობასაც ხოლერა მოსდევს თურმე. მაშ ისევ სმა სჯობია არა სმას!..

ღვინის არშიყი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ. მიხეილ ლელაშვილმა ტფილისიდგან გამოგზავნა 19 ცალი სხვა-და-სხვა ქართული საყმაწვილო წიგნი ქობულეთის სკოლის სასარგებლოდ და შემდეგისთვისაც გვპირდება შემწეობას. იმედია ლელაშვილს ბევრი წაჰბაძავენ და ქართველ მაჰმადიანთ ყმაწვილებს შეეწევიან... ამ სკოლის გახსნის თაობაზედ თხოვნა უკვე გაგზავნილია ქართ. შორ. წერ. კითხ. გამავრც. საზოგადოებაში. იმედია, ჩემი განძრახვა და შრომა უნაყოფოდ არ ჩაივლის და გაიხსნება. სკოლა იქნება ხსენებულ „საზოგადოების“ ქვეშევრდომი და სახელმძღვანელოთ მათივე პროგრამმა მიიღება.

## დეპეშა

3 ენკენისთვე.

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრი ვიშნეგრადსკი, თავისისავე თხოვნით, ავადმყოფობისა გამო დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან. დანიშნულ იქმნა: გზათა სამინისტროს მმართველი ვიტტე ფინანსთა სამინისტროს მმართველად, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტის მმართველი კრივოშეინი—გზათა სამინისტროს მმართველად.

სახელმწიფო ქონებათა მინისტრი სამხრეთისაკენ გაემგზავრა და საქმეთა გამგეობა გადასცა მინისტრის თანაშემწეს ბ-ნს ვეშნიაკოვს.

შემოდგომის ეგზამენები სამხედრო სამკურნალო აკადემიაში დაიწყობა 1 ნოემბერს, მეოთხე კურსის ლექციები და განსამეორებელი ეგზამენები იმ სტუდენტებისთვის, რომელნიც სოფლად იქმნენ გაგზავნილნი ხოლერასთან საბრძოლველად, 20 ენკენისთვეს დაიწყება.

4 სექტემბერი

**პეტერბურგი.** მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი მემკვიდრე ცესარევიჩისა, დიდის მთავარის ვლადიმირ ალექსანდეს ძისა და დიდის მთავრინასი ქსენია ალექსანდრეს ასულითურთ 1 სექტემბერს სპალუს მობრძანდნენ.

**ლონდონი.** ლორდ როზბერის მდივანმა მათ უპასუხათ, ვინც როზბერის დაეკითხა პამირის შესახებ, გამოაცხადა, რომ თუმცა მთავრობა დიდს ყურადღებას აქცევს პამირის შესახებ საქმეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით საჭიროდ არ მიაჩნია ამ საქმის შესახებ რაიმეს საქვეყნოდ გამოცხადებაო.

სიმლადგან დეპეშით იუწყებიან, კანდახარის გუბერნატორის ბანაკსა, ხურელსა, გუბერნატორის ჯარებსა და ხაზარასთა ადგილებში ხოლერა გაჩნდაო. ჯარები შეშინებულია, ამიტომ ხაზარასელებზედ იერიშით მისვლა ჯერ-ჯერობით გადასდეს.

პეტერბურგის ბირჟა, 1 სექტე.

| | მყიდველ-ნი. | გამყიდ-ველნი. | გარიგე-ბანი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,84 | 7,88 | — ,, |
| ტრამოყნის კუპონები . | 156½ | 157½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 236 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | 217 | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 191½ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.


## განცხადებანი

კბილის ექიმი

ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (150—103)



ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

ЗАВОДЪ

МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ

А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

ტფილისში:

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით ვაზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმიარასიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეი გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—33)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ,,.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. № 21.